

ისრაელი, პროფესორ მოშე დანიელს

ძვირფასო ბატონო მოშე, გადმომცეს თქვენი წინადადება იქნებ, გამოვთქვა მოსაზრება ლილი ბააზოვას წიგნზე „ევრეი ვ გრუზიი“. შევეცდები თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო, თუმცაღა, ამთავითვე აღვნიშნავ: ალბათ, ისედაც მოგეხსენებათ, რომ ისტორიკოსი არ გახლავართ. მაგრამ წიგნის განხილვაში მონაწილე მომხსენებელთა სიას რომ გადავხედე, გავმხნევედი — არც ისინი გახლავართ ისტორიკოსები. ისინი უფრო შორს არიან ისტორიული მეცნიერებისაგან, ვიდრე მე, ამას გარდა, წიგნები ერების, ქვეყნების ისტორიაზე ისტორიკოსებისათვის არ იწერება — იგი იწერება ყველასათვის.

„ევრეი ვ გრუზიი“ არ გახლავთ ის წიგნი, რომლის ნაკითხვის შემდეგ ერთბაშად შეგიძლია გამოთქვა აზრი. ამ წიგნს ასეთისე სრულყოფილი შეფასება რომ მისცე, ამ საკითხის შესასწავლად ლილი ბააზოვას მიერ განთავსებული მეცნიერული შრომის შეათევი მაინც უნდა გქონდეს ჩატარებული. თქვა „კარგი წიგნია“, „მომწონს“, ან „არ მომწონს“(!), სრულიად არაფერს ნიშნავს. მას უნდა ჩასწვდე, უნდა დაინახო არა მხოლოდ ის, თუ როგორ, რა ტრანსფორმაციით განვდიხ, მეცნიერის ამათუ ისტორიული მოვლენას, ფაქტს, უნდა იცოდე, ამ მოვლენის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები.

მე კი ამ ერთობ საჭოჭმანო საქმეს მაინც ვეწევი იმით გამხსნევებული, რაზეც უკვე მოგახსენეთ და კიდევ ერთი გარემოების გამო: ვინც ჩემს რომანებს, დრამატურგიას, ჩანაწერებს გასცნობია, ალბათ, იცის: უმეტესწილად ისტორიას მივმართავ. დანტერესებული ვარ საქართველოს, ქართველი ებრაელობის ისტორიით, ვწერ ამ თემაზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საისტორიო-რად ვსწავლობ მას და ასე თუ ისე, ვფლობ ცალკეული ეტაპების ცოდნას.

რაც შეეხება ლილი ბააზოვას წიგნს:

ადრეულ წლებში ამ ავტორის ნაშრომებს ყურადღებით გავცნობივარ. ლილი ბააზოვა მაქსიმალისტი (ასე იყო მაშინ, ახლა არ ვიცი) ალბათ, ამიტომ მის ნაშრომებში ვხვდებოდი თამამ მეცნიერულ აზრს, შესასწავლი თემისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას. შემდეგ კი ლილი თვალს მიეფარა. ამის გამო გულიც მწყდებოდა: ბანტიერესო მკვლევარი უმოქმედოდ არის-მეთქი. 90-იან წლებში, თბილისში ყოფნისას, მითხრა, რომ მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, თბილისის არქივებში, მუზეუმებში დაეძებს მასალებს საქართველოს ებრაელობაზე, მაგრამ მომდევნო წლებში, სამსუხაროდ, ლილის კვლევები არ შემხვედრია. ვფიქრობდი, ალიის, ადაპტაციის სირთულეებმა, მკვლევარი დაგვაკარგინა-მეთქი.

და აი, ჩემს წინაა თითქმის 850 გვერდიანი ნაშრომი „ევრეი ვ გრუზიი“, რომელმაც გაამართლა ჩემი წიხილი ამ ავტორის ჩრდილში მოქცევის გამო და იმაშიც დამარწმუნა, რომ ლილი კი არ სდუმდა, უმოქმედოდ კი არ იყო, თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს აკეთებდა — იღწვოდა და ამით ქართულ ისტორიოგრაფიას დიდ სამსახურს უწევდა. სწორედ რომ ქართულ ისტორიოგრაფიას! ქართული ისტორიოგრაფია კი შემთხვევით არ მიხსენებია: ჯერ ერთი იმის გამო,

რომ საქართველოს ებრაელობა ამ ქვეყნის მოსახლეობის შემადგენელი ნაწილი იყო, არის და იგი უნდა სწავლობდეს (და სწავლობს კიდევ!) მის ისტორიას, მეორეც: საქართველოს ებრაელობის ისტორიის შესწავლა, გადმოცემა შეუძლებელია საქართველოს ისტორიის ყოველი პერიოდის ღრმად შესწავლის გარეშე — აზოს მეფობიდან დღემდე. მითუმეტეს რომ: თუ ლეონტი მროველის ვერსიას დავეყრდნობით, ფარნავაზს, აზოსაც კი, ებრაელები აქ დახვდნენ.

...და არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისა, წიგნის პირველი თავები გვარწმუნებს, რომ ლილი ბააზოვას ძველი აღმოსავლეთის ისტორიაც კარგად შეუსწავლია, რათა წარმოეჩინა ებრაელების „ადგილის დედა“, მათი როლი ამ ისტორიაში.

ლილი ბააზოვას წიგნი უწინაპრად არ გაჩენილა — ჩვენ ვიცნობთ ქართველ ებრაელ მეცნიერთა: ნათან ელიაშვილის, იცხაკ დავიდის, კოტე ლერნერის, ელდარ მამისთვალაშვილის და სხვ., ანგარიშგასანევი ნაშრომებს ამ თემაზე, ამ კვლევებმა თავთავიანთი ადგილი დაიმკვიდრეს ქართველ ებრაელთა წარმომავლობის, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების შესწავლის საქმეში. ლილი ბააზოვა თავისი გზით მიდის. ცხადია, უხვადაა მოშველიებული მრავალი წყარო, ციტატები, ფაქტები ქართველ ებრაელთა დრამატული, ზოგჯერ ტრაგიკული ყოფის (მხოლოდ „სისხლის შარს“ არ ვგულისხმობ) წარსულიდან, მაგრამ ლ. ბააზოვა თავისი თეზის დამტკიცებას მხოლოდ ამ მოშველიებით მასალებით არ ცდილობს, ე. ი. მისთვის ძირითადი დასაყრდენი ცხადია, გახლავთ ფაქტი, მოვლენა, მაგრამ მნიშვნელობას ანიჭებს განზოგადებას — მსჯელობით (ზოგჯერ ირონიის მოშველიებითაც!) მიყვები ერთ შემთავაზებულ თეზის დადასტურებამდე. ეს კი კვლევის თავისებურებად მიმაჩნია და წიგნს სიცხოველეს მატებს, რადგან ლილი ბააზოვა კარგად ფლობს სიტყვას, ფრაზას, ფრაზაში მისთვის საჭირო ნიუანსის მოქცევას უნარს. ასე, რომ ლილი ბააზოვას დუმილი, არა დუმილი, არამედ გაუნელებული შრომით გატაცებული ადამიანის განმარტობა ყოფილა — საქართველოს ებრაელობის შორეული და ახლო წარსულის შესასწავლად მას ჩაუტარებია უზარმაზარი შრომა. ამგვარი ხასიათის წიგნები იშვიათია, ხუთი წლის დაუფლავალი შრომით არ იქმნება, ასეთ მეცნიერულ დონეზე კვლევის ჩატარება მთელი სიცოცხლის საქმეა. ლილი ბააზოვამ ეს შესძლო.

ამ წიგნში ხშირად ვხვდებით ქართველი ებრაელობის ტრაგიკულ და სანიშნე ფიგურას — დავით ბააზოვს. თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში საქართველოს ებრაელობას არ ჰყოლია უფრო მნიშვნელოვანი და ამავე დროს ტრაგიკული საზოგადო მოღვაწე, ვიდრე დავით ბააზოვი გახლდათ. დავით ბააზოვის ბედმა — მისი თანამედროვე ქართველი ებრაელობის გავლენიანი ნაწილის მისადმი დამოკიდებულებამ გამოავლინა ჩვენი:

ა) არცთუ სასურველი ცოდნა-განათლება, თუ არ ვიტყვით, — გაუნათლებლობა და მისით გამონეველი მრავალი ნეგატივი.

ბ) კარიერის, საკუთარი კეთილდღეობისათვის სხვათა იოლად განირვის ტენდენცია — დავით

ბააზოვი ერაერთხელ გასწირეს უწინარესად მისმა თანატომელებმა — პარტიული, თუ კარიერისტული მოსაზრებებით არ ინდობდნენ.

გ) დღეს კი ავლენს უახლოესი წარსულისადმი მიუტყვევებელ გულგრილობას, რითაც დასაშვებად ვხდით იმ საბედისწერო შეცდომების გამეორებას.

არცერთი კუთხის ებრაელობა ასე გულგრილად არ აუვლიდა და არ აუვლის გვერდს თავისი უახლოესი წარსულის მთავარ მოვლენებს, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ — ობიექტურ შეფასებას მისცემდა იმას, რაც იყო, როგორც იყო. წინა თაობებმა კი ისე გალიეს ნუთისოფელი, თითქოს არც არაფერი მომხდარა, ამიტომ ჩვენი ვალია სწორი შეფასება მივცეთ ქართველი ებრაელობის ერთგვლენიანი ნაწილში მეოცე საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის მოვლენებს — იმას, რაც დავით ბააზოვის ირგვლივ ხდებოდა. ბოლშევიზმი ბოლშევიზმად, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დავით ბააზოვი ებრაელობამ გაიმეტა — ყველაფერი მისგან დაიწყო — ისე იქცეოდა, თითქოს სუკისთვის „შპარგალკას“ წერდა. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ფინალი ასე წარმოედგინათ, მაგრამ როცა ერის წინამძღოლობაზე აცხადებ პრეტენზიას, ის უნდა გათვალისწინებულ მოკვდავი ვერ შესძლებს.

ამ საკითხის ნამოჭრით გაღიზიანებულებმა შესაძლოა, დამისვან კითხვა: ქართველ ებრაელობას რას მისცემს იმის აღიარება, რომ დავით ბააზოვის მიმართ ჩვენსავე მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებები ხდებოდა, ხაზგასმა იმისა, რომ ეს არ იყო ბრძოლა მხოლოდ ამ პიროვნების წინააღმდეგ, ეს იყო ქართველი ებრაელობის სამომავლო გზის მოჭრა, არა პროგრესის, ჩიხისაკენ ენერგიული ნაბიჯებით სვლა. თუმცაღა, ქართველი ებრაელობის თანდაყოლილმა ნიჭმა, გაუნელებული შრომის უნარმა, შეუპოვრობამ თავისი გაიტანა და მან თავი დააღწია იმ გარემოს, საითაც უბიძგებდნენ, იმ ჩიხს, სადაც შეჰყავდათ.

ექვს არ იწვევს, რომ დავით ბააზოვი გახლდათ დიდი მოღვაწე, რომლის ბადალიც ქართველ ებრაელობას არც მანამდე ჰყოლია და არც მას შემდეგ. ამ ოცი წლის წინათ სტატიამ „პორტრეტი თანამედროვე ინტერეირში“ ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება დავით ბააზოვის სიონისტურ მოღვაწეობაზე ცნობილია. მას დიდი ხმაური მოჰყვა. ლილი ბააზოვას ამჟამინდელმა კვლევამ კი მიკარნახა კრიტიკული თვალთ გადახედო ჩემს შეხედულებას დავით ბააზოვზე — სიონისტზე. რატომ? მკვლევარმა არა შიშველი ფრაზებით, ლოზუნგური რეპლიკებით, სულნათელი მოღვაწის ლამის ყოველდღიური ცხოვრების ჩვენებით, წარმოგვიდგინა საყურადღებო, ანგარიშგასანევი სურათი იმისა, რომ მის მოღვაწეობაში სიონისტური მოძღვრებაც გახლდათ მოქცეული და არა ისე, როგორც ჩემი ოპონენტები ისრაელში გამოივანი იყვნენ „დროშის“ ფურცლიდან წარმუხნებდნენ იმაში, რაც თავადაც კარგად არ იცოდნენ: ერთი იმითაც კი მამუნათებდა თავად მომისმენია, დავით ბააზოვი როგორ კითხულობდა ბაირონის ლექსს ისრაელზე, ებრაელობაზე — სიონისტი იყო აბა, რაი!

მაგრამ მაინც... არ იქნება სწორი დავით ბააზო-

ვის მოღვაწეობა განვიხილოთ სუკის ბრალდებების პოციზიციიდან. სუკის ბრალდებები სანდო დოკუმენტად არ გამოდგება — იქ აუტოდაფეს ცეცხლის ასაგიზგიზებლად თავად თხზავდნენ ფანტასტიკურ ბრალდებებს. ამას გარდა, სიონიზმი იდეოლოგია გახლდათ და თავისი ამოცანა თუ როგორი წარმატებით შეასრულა, ამას ყოველი ჩვენგანი კარგად ხედავს. დღეს სიონიზმს ანტისემიტური, ანტი-სიონისტური ორგანიზაციები იმისათვის იხსენებენ, რომ ებრაელობას, ისრაელის სახელმწიფოს „უკბინოს“. დღეს პოსტსიონისტური ეპოქაა და ვგონებ, იმანაც ლამის ამოსწუროს თავისი თავი. ამას ვაცხადებ, მაგრამ მაინც მდევს ფიქრი: ცდებიან ისინი, ვინც დავით ბააზოვის ფენომენს განიხილავენ, როგორც საქართველოში სიონიზმის ადეპტინოს, მითუმეტეს, რომ ლილი ბააზოვას კვლევა საქართველოში სიონისტ მოღვაწეთა ერთობ მოზაიკურ სურათს წარმოგვიჩენს და ცხადყოფს: ამ არენაზე მთავარი მოთამაშენი მაინც აშქენაზი ებრაელები მოსჩანან, თუმცაღა, ბენიამინ აკაიტელაშვილის მისიის გვერდის ავლა, დიდი ცოდვა იქნება — ჰერცლის წიგნი, ე.ი სიონიზმის იდეოლოგია, ქართველენოვანი მკითხველისათვის მან გახადა ხელმისაწვდომი. რატომაც ზოგიერთს ჰგონია, თუ დავით ბააზოვის ფენომენს არ განვიხილავთ, როგორც საქართველოში სიონიზმის მთავარი მქადაგებლისა, მის სახელს რაიმეს ვაკლებთ. არ არის ასე: დავით ბააზოვი გახლდათ დიდი მოღვაწე — ქართველ ებრაელთა ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავის მოღვაწეობაში, როგორც ლილი ბააზოვამ დამარწმუნა, სიონიზმსაც ითვალისწინებდა და მოიცავდა. რატომ? მისთვის ყველაფერი მისაღები იყო, რაც ქართველ ებრაელთა ლაფში ჩაფლულ ურემს შინ მიიყვანდა — ამ სილარბის, უცოდინარობის წყვდიადში ჩაძირული საბრალო ხალხის საქმეს წინ წასწევდა.

წიგნში მოხმობილ მასალებში ჩინებულად იკვეთება ორი საქართველო — ამ პატარა მიწაზე მოქცეული ორი ერმანეთის მიმართ თითქმის რადიკალურად განსხვავებული საქართველო. და ეს რომ ასეა, ამას ნათლად ადასტურებს სურამის, საჩხერის, ქუთაისის, „სისხლის შარის“ პროცესები. ერთ მხარეს დგას, ძალიან დაბალი განათლების, უფრო ზუსტად უვიცობის წყვდიადში მოქცეული საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც ხსენებულ გარემოებათა გამო ნებისმიერ შეძახილზე მზად არის თავს დაესხას ებრაელობას, დაარბოს, ურტყას, ნაგლიჯოს, მიითვისოს მისი და ა. შ. მეორე მხარეს კი დგას ქართული ინტელიგენცია, რომელიც იქნებ, ებრაელობაზე მეტად განიცდიდეს არის ერთ ნაწილში გამეფებულ სიბნელეს, ზნეობრივ დაჩაივებას. ლ. ბააზოვა კარგად გამოკვეთს ამ გარემოებას და თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნებით, აქ მხოლოდ ებრაელობა არ არის მსხვერპლი — უწინარესი მსხვერპლი სიბნელეში მოქცეული, სულიერად დამახინჯებული ქართველობაა, რომელსაც იმპერია ასეთ დღეში ამყოფებს. წიგნი დაცლილია კონიუნქურისაგან — ავტორი არაფერს ფარავს, რადგან იცის: დაფარვა შეურაცხყოფელი იქნებოდა, მაგრამ ქართული ინტელიგენციის მღელვარე, იქნებ, შეძრწუნებულ სახესაც გამოკვეთს: ამ შეძრწუნების სათავე, კი ადამიანური ურთიერთობის რღვევაა. ცხადია, ლიბერალულ ქართულ ინტელიგენციას ებრაელთა ბედი აღეკვეს, აწუხებს, მაგრამ ხალხის დაბალი განათლებით უფროა შეძრწუნებული, სწორედ ისე, როგორც დავით კულიაშვილი, როცა „უბედურებას“ წერდა. აქაც ხომ მო-

ანტისემიტური კანონარომატი

ნორვეგიის პარტია „პროგრესის“ ყოველწლიურ კრებაზე კენჭი უხარეს „ბრით მილის“ — რიტუალური ნათლობის აკრძალვას. სურვილი აქვთ აკრძალონ ტრადიციული იუდაისტური ტრადიცია მანამ სანამ ადამიანი არ შესრულდება 16 წლისა.

ამ იდეის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ნათლობის — „ბრით მილის“ პროცესი ბავშვზე ახდენს ფსიქიკურ ზემოქმედებას, აყენებს ფიზიკურ ტანჯვას, ამავდროულად ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა გახლავთ.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ხელმყოფი ეს კანონპროექტი ნორვეგიის ებრაულმა თემმა ანტისემიტურ აქციად მიიჩნია. ევროპის ებრაელთა ასოციაციის მეთაურმა რაბი მენახემ მარგოლინმა ბენიამინ ნეთანიაჰუს მისწერა და სთხოვა ყველაფერი ილონოს, რათა ევროპის სახელმწიფოების ლიდერებმა თავი ანებონ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შემლახავი კანონების მიღებას.

ამის საპასუხოდ პარტია „პროგრესის“ ლიდერმა სივ იენსენმა უარყო ის, რომ კანონპროექტი მიმართულია ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა: „ჩვენი პარტია ყოველთვის იცავდა ისრაელის ინტერესებს“

რეპატრიანტთა შვილები მსრავლს სტოვებენ?

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გასული საუკუნის 90-იან წლებში ისრაელს ჩასულ რეპატრიანტთა 17% უკვე დატოვა ისრაელი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ ისრაელში, აქ მიიღეს განათლება, მუშაობდნენ და შექმნეს ოჯახები. ამას 9 მაისს იუნსეებოდა გაზეთი „ჰაარეცი“


1990-96 წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ისრაელს ჩავიდა 650 ათასი ადამიანი, ამათგან 185 ათასი 20 წლისა და კი არ იყო, როგორც სტატისტიკური ბიურო იუნსეება, ამათგან 32 ათასი უკვე აღარ ცხოვრობს ისრაელში.

როგორც „ჰაარეცი“ გვამცნობს, ეს ადამიანები ან დასავლეთის ქვეყნებში გადასახლდნენ, ან თავთავიანთ ქვეყნებს დაუბრუნდნენ. გამოირკვა, რომ ისრაელს რუსულენოვანი ახალგაზრდები უფრო სტოვებენ, ვიდრე ადგილობრივნი, ან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები. ისრაელიდან წასულნი კი უჩივიან ამ ქვეყანაში ცხოვრების სიძვირეს, უსაფრთხოებას, რელიგიის აქტიურ ჩარევას მათს პირად ცხოვრებაში. ამას გარდა, იმასაც წერენ, რომ ებრაული სახელმწიფოდან მეტწილად განათლებული და აქტიური ახალგაზრდობა გარბის.

რუსულენოვანი სპეციალისტების აზრით, „რუსები“ აშშ-ში, კანადასა და გერმანიაში უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ისრაელში. ამათგან მხოლოდ ნახევარი თუ უკავშირებს თავის ბედს ისრაელს. მათი აზრით, ისრაელის სახელმწიფო არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს ახალგაზრდობა ქვეყნიდან არ გაედინებოდეს.

ღ ა რ ბ ე მ ა

რომის მთავარი სასაფლაოს ებრაულ ნაწილში დარბევა მოხდა. პოლიცია აცხადებს, რომ დამარბეველები ამსხვრევდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ, ამიტომ ვერ ამტკიცებენ, რომ ეს იყო ანტისემიტური აქცია, იტალიის პრესის ცნობით, სასაფლაოს ებრაულ ნაწილში დანგრეულია 70-ზე მეტი სასაფლაოს ქვა.



ოთხმა დამარბეველმა, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, დაამტვრია სასაფლაოს პლიტები, ებრაული სიმბოლიკა, საყვავილები. მათ სასაფლაოს ქრისტიანულ ნაწილშიც დაანგრეს ჯვრები, შეურაცხვეს საფლავები, მაგრამ უფრო მეტად განადგურებულია ებრაული ნაწილი.

თელ-ავივი — მსოფლიოს საუკეთესო ქალაქი

ამერიკული ჟურნალის „ტურისტის ბიბლია“ ესპანურმა ვერსიამ თელ-ავივი 2017 წლის მსოფლიოს საუკეთესო ქალაქად სცნო. საამისო სერთი-

ფიკატის მისაღებად ესპანეთში საგანგებოდ თელ-ავივის მერი რონი ჰულდაი ჩავიდა. დაჯილდოების ცერემონია მადრიდში გაიმართა. რონი ჰულდაისთან ერთად მადრიდში ჩავიდა ისრაელელი ტომოდელი ბარ რაფაელი, რომლის ფოტოც გამოქვეყნებული გახლდათ „ტურისტის ბიბლიის“ მაისის ნომრის გარეკანზე. ამ ჟურნალის 14



ათასმა მკითხველმა თელ-ავივი ყველაზე კომფორტულ და საინტერესო ქალაქად მიიჩნია. ამ ჟურნალმა მსოფლიოს საუკეთესო ქალაქად ადრე ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი და ლონდონი გამოაცხადა.

მაკრონის კარტიიდან ანტისემიტი გააკევეს

მაისში საფრანგეთში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა გამარჯვება ემანუელ მაკრონს (პარტია „ნიჩ“ — En Marche) მოუტანა. მაკრონი 15 მაისს შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. არჩევნების დამთავრებიდან ორიოდე დღეში კი პარტიიდან გარიცხეს საარჩევნო შტაბის წევრი, ჟურნალისტი კრისტიან გერინე — მან რამდენიმე ანტისემიტური, ანტიისრაელური სტატია გამოაქვეყნა.

ლიბერი ფულის გადაშუაგების საკითხში

ისრაელის წყლის გადამუშავების სამმართველოს მონაცემებით, წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციამ სამმართველოს საშუალება მისცა სოფლის მეურნეობაში ნახმარი წყლის მეორედ გამოყენება 87% -მდე აეყვანა. შედარებისათვის: მეორე ადგილზე გასული ესპანეთი სოფლის მეურნეობაში ნახმარი წყლის მხოლოდ 20% იყენებს.

უკველესი მონეტა

არქეოლოგმა და რესტავრატორმა ორნა ქოენმა იერუსალიმის გეგმიური რესტავრაციისას დავითის კოშკის ერთ-ერთი კედლის ნანგრევებში შემთხვევით მეფე ანტიოქ მეოთხე ეპიფანეს დროინდელი მონეტა იპოვა. ძველი ნელთარციცხვის 165 წელს ამ სირიელი ტირანის დაღუპვამ იუდეველებს საშუალება მისცა ტაძრის მთა ბერძენთა და სირიელთა ბატონობისაგან გაენთავისუფლებინათ. სწორედ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ვზეიმობთ ხანუქას.

ბრინჯაოს მონეტის წინა მხარეს ამოტვიფრულია ანტიოქ მეოთხე ეპიფანეს სახე, მეორე მხარეს კი — ქალმერთი, რომელსაც გაურკვეველი საგანი უჭირავს ხელში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს არის ჩირალდანი.

მონეტის გაჩარხვის ზუსტი თარიღი ჯერაც დაუდგენელია, თუმცა, ცნობილია, რომ ასეთი მონეტები მზადდებოდა აქქოში ძველი ნელთარციცხვის 172 წლიდან 168 წლამდე.

დავითის კოშკის მკვლევარებმა მონეტა ექსპრტიზისათვის ისრაელის სიძველეთა სამმართველოში გაგზავნეს.

გაერომ იოზ ქიფური ოფიციალურ დღესასწაულად გამოაცხადა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეს საკითხი წლების განმავლობაში განიხილებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ საკითხს არაბული სახელმწიფოები ბლოკავდნენ, რეზოლუციის მიღება ვერ ხერხდებოდა. ამასწინათ კი გაეროს ნიუ-იორკის ცენტრალურ შტაბ ბინაში გამოაცხადა, რომ ებრაელთა რელიგიური დღესასწაული — ქიფური გაეროს ოფიციალურ დღესასწაულად იქნა მიჩნეული. ამ — ქიფურის — დღეს გაეროში არ ჩატარდება ოფიციალური შეხვედრები, ან სხდომები, ხოლო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი თანამშრომლისათვის ეს იქნება გამოსასვლელი დღე.

სახლეობის სულში ჩაბუდებული სიბნელე, სიძულვილი მთავარი თემა და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: რუსეთის სამხედრო იერარქიის საქართველოში დამკვიდრებამდე, „სისხლის შარის“ არცერთი მაგალითი არ არის ცნობილი — როგორც კი რუსეთმა საქართველოში ფეხი მოიკიდა, ებრაელებმა ქრისტიანი ბავშვების „მოტაცება“ იწყეს (!!!) ვისაც სურს კარგად იცოდეს ქართველი ებრაელობის ჭეშმარიტი არსი, გაიგოს, საბჭოების დიქტატურის წლებში, თუ როგორ იბრძოდა იგი სინაის მთის ძირას უზენაესისადმი მიცემული პირობის შესასრულებლად, წაიკითხოს „ევრეი ვ გრუზის“ 801-ე გვერდზე მოთავსებული ქ. მიხა-ცხაკაიას სინაგოგის გაბაის ი. სეფიაშვილის წერილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა მმართველის დ. შალუტაშვილისადმი. თუ ამ წერილს წაიკითხავთ, სიამაყით აღივსებით, რადგან

დაინახავთ წლების განმავლობაში როგორ გრძელდებოდა სინაგოგისა და რაიკომის პირველი მდივნის დუელი: ებრაელობას სინაგოგა ჩამოართვეს, ჯამაათმა ახალი ააშენა, ისიც ჩამოართვეს, სამაგიეროდ კი ჩამონგრეული, ოჩოფებზე მდგარი სახლი მისცეს. ჯამაათმა მას ადგილას ახალი ჩინებული სინაგოგა აავა. გახსნის წინა დღეებში ეს ახალი შენობა — სინაგოგა „მოულოდნელად“ მთლიანად დაიწვა, ხანძრის გამწვნი კი ვერა და ვერ „იპოვეს“. ებრაელებმა ისევ ახალი ააშენეს, მაგრამ...ერთი სიტყვით, ამ „საბრალო“ ებრაელობისა და სახელმწიფო მანქანის ბრძოლა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. როგორ დამთავრდა? ჯამაათი კვლავ ჯამაათად დარჩა — სახენათელი შემოქმედის წინაშე, რაიკომის პირველი მდივანი — ერთობ წარმატებული პარტიული მუშაკი, სისტემის სახედ ქცეული ძლიერი კაცი, ქალაქი „ხელში რომ

ექირა“, ჯერ მოხსნეს, მერე ციხეში მოხვდა და რამდენადაც მახსოვს, სიცოცხლეც იქვე დაასრულა. ვიღაცა ჩაიქირქილეს ბათიაშვილი მითებს ქმნის და თავზე გვახვევსო. მაგრამ რა ვქნა, ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა: გაბაის — „იაკობ ბიძისა“ ვიცნობდი და ორჯერ, თუ სამჯერ იმ პირველ მდივანს — ცხაკაიელ ფარაონსაც შევხვედრივარ. ის შაბათ დილა კარგად მახსოვს, სინაგოგის ჩამორთმევა რომ შეეცდებოდა: რეზო არონაშვილი და მე სხვადასხვა მხრიდან, ერთდროულად მივადექით სინაგოგას, რომლისთვისაც ჯარისკაცებს შემოერთყვით ალყა. ყმანვილები ვიყავით — ჩვენი არ დავიშალეთ — მაინც მოვიხდომეთ ბეთ ქნესეთში შესვლა. ჯარისკაცებმა ლამის კუდით ქვა გვასროლინეს — რეზო თავისი სახლისკენ გარბოდა, მე კი — ჩემი სახლისაკენ.

სულიერო პირების — თალმიდ ხახმების ცალსახად ნეგატიურ პლანში მოხსენიებამ. დავით ბაზოვისადმი დაპირისპირებული ხახმების თაობაზე ზემოთ ვისაუბრე და აღარ მივუბრუნდები. უფრო დაბალი განათლებისა იყვნენ — ებრაული აზრის სიღრმეს ვერჩამწვდარნი და „დაზუბრული“ ტექსტებით რომ ესაუბრებოდნენ ჯამაათს, მაგრამ იყვნენ უაღრესად განსწავლული პიროვნებები, რომლებსაც ღვთის სიტყვა დიდებულად მიჰქონდათ ხალხთან. წიგნში კი საზოგადოების ეს ფენა თითქმის ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი, რაც არც თუ მიზანშეწონილად მიმაჩნია.

და ბოლოს: მინდა ლილი ბაზოვას მადლობა გადასცეთ განუული უზარმაზარი შრომისათვის.

პატივისცემით
გურამ ბათიაშვილი

რამ მომჭრა ყური ამ წიგნში? სა-

ქართველი ებრაელობა შინ და გარეთ

მზით განათიებული მხატვრის სამყარო

1997 წლის შემოდგომის ერთ საღამოს კოლეგა და უფროსი მეგობარი ვახტანგ ანანიაშვილი ტელეფონით შემეხმინა და მკითხა თუ შეიძლება მხატვარზე რადიოგადაცემის გაკეთება. მხატვარს თუ ვაძინებო და მის ნამუშევრებს ვნახავ, რატომაც არა-მეთქი. ნავედი გამოფენაზე, მაგრამ ავტორი არ დამხვდა.

მეორე დღით 10 საათზე, გამოფენის გახსნამდე ერთი საათით ადრე დამიბარეს მხატვართან შესახებ დრად. ჩვეულებისამებრ, დათქმულ დროზე 10-15 წუთით ადრე ადგილზე ვიყავი. ვახტანგმა ახალგაზრდა ლამაზ ქალბატონთან ნარმადგინა, რომელსაც თვალეზი აწყლიანებული ჰქონდა და ხმა უკანკალეზდა, თითქოს ბურთი ჰქონდა ყელში გაჩრილი.

– ცისანა ჯანაშვილი, – მორცხვად გამეცნო.

მეც ჩამოვართვი ხელი, გულლიად მივესალმე და საუბარი კითხვა პასუხის რეჟიმში დავიწყეთ. საუბრისას, თითქოს სხვათაშორის, პატარა მაგიდა და სკამები კუთხეში მივარჩიე, ლამაზი ყვავილები ლარნაკში ჩავდე, მაგიდაზე დავდე და საუბარში მისგან შეუმჩნეველად ხმის ჩამწერიც ამოვაცურე. დავსხედით და საუბარი ისე გაგრძელდა, არ იცოდა რომ ვინერდი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში ის გახლდათ, რომ ცისანა ჯანაშვილს, რომელიც 23 წლის განმორების შემდეგ ესტუმრა მშობლიურ თბილისს, ხარფუხს, თელეთის ცამეტს, სადაც დაიბადა და ბავშვობა ჰქონდა გატარებული, განცდისაგან გული ისე ჰქონდა ამომჯდარი, თვალეზი კი დანამული, რომ მყისვე ჩაწვდის მისი გრძნობების ხვეულებს და ჩვენს შორის გულწრფელობის ატმოსფერო თავისთავად დამყარდა. დიდხანს ვისაუბრეთ, მხატვარი თანდათან განთავისუფლდა დაძაბულობისაგან და სიტყვის ნაკადული თავისი გზა მოხანა.

ამ დღიდან 20 წელი გავიდა და ცისანა ჯანაშვილი ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა. მან ბევრი სირთულე დაძლია და მრავალი გაჭირვება გადაიტანა ცხოვრე-

საქართველოს რომ ეწვია და თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გამართა თბილისში, დედაქალაქმა გულში ჩაიკრა საქართველოზე მოფიქრალი უმშვენიერესი ქალბატონი...

ამასთან დაკავშირებით, ცისანა ჯანაშვილი, ვაშინგტონში მცხოვრებ უხუცეს ქართველ ემიგრანტ პეტრე ხვედელიძეს, რომელსაც ადრე არ იცნობდა და დები ჯერვალდებულებიდან მოგვიანებით გაიცნო, წერდა: „სამუშაოებში მომეცა 23 წლის განმორების შემდეგ სამშობლოში ჩამოვსულიყავი. თბილისში ჩემი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა საქართველოს პირველი ლედის პატრონაჟით გაიმართა. იმ დღეებში დიდი ბედნიერება მომანიჭა. ყვავილების ზღვაში ჩამიძირეს. ჩემი გამოფენის შესახებ დაინერა ჟურნალ-გაზეთებში, გადაიცა რადიოთი, ტელევიზიით. იმ დღეებს რა დამავინყებს

სწორედ მაშინ გავიცანი არაჩვეულებრივი ადამიანი, მეცნიერი და ჟურნალისტი ბატონი ვანო ჯაფარიძე. მან ჩემს შემოქმედებაზე ერთსაათიანი რადიოგადაცემა მოამზადა. შემდეგ ჩანაწერი ნიუ-იორკში გამოვიგზავნა. ჩანაწერმა უდიდესი სულიერი შვება მომგვარა. ცხოვრების ორომტრიალში ჩაძირული, ათასი საზრუნავით თავბრუდახვეული მერამდენედ ვისმენდი ჩანაწერს და ჩემს თვალწინ კინოკადრივით ცოცხლდებოდა თბილისური დაუვიწყარი დღეები

ქართველმა ხალხმა ისეთი სითბო და სიყვარული მაჩუქა, რომელსაც ვერაფერი შეედრება დედამიწაზე. ისევე და ისევე, ჩემმა სამშობლომ უნამლა ჩემს სულს.

ბატონო პეტრე! უკანასკნელ წლებში პორტრეტის ჟანრში ვმუშაობ. შექმენი ისტორიული პორტრეტების, ასევე ცნობილი ადამიანების, – მეცნიერების, მხატვრების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები.

თქვენი დაბადების 90 წლისთავისადმი ნერილი დაიბეჭდა გაზეთში – „თბილისი-ნიუ-იორკი“. სწორედ იმ გაზეთში ვნახე თქვენი ფოტოპორტრეტი პირველად. თქვენზე სხვა რომ არაფერი მცოდნოდა, ის ერთი საგაზეთო სურათიც საკმარისი იყო, თქვენდამი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით განვმსჭვალულიყავი. თქვენს კეთილშობილებზე და განვლილ ცხოვრებაზე თქვენი თვალეზი მეტყველებენ. მინდა მოკრძალებით გაუწყლო, რომ თქვენი ფერწერული პორტრეტი დავგაბე. გიგზავნით თქვენი პორტრეტის ფოტოს და ზოგიერთი ჩემი ნამუშევრების ფერად ასლებს.

ბატონო პეტრე! ნეტავ ადრე მცოდნოდა თქვენს შესახებ. თურმე აქვე ვაშინგტონში ცხოვრობთ და მოღვაწეობთ. ვინ იცის, იქნებ ჩემი ცხოვრება ნაკლებ მტკივნეული ყოფილიყო თქვენი ხმა დროდადრო რომ გამეგო. უღრმესი პატივისცემით ცისანა ჯანაშვილი 02.03.2011, ნიუ-იორკი“ (ჩემი შვილის ლევან ჯაფარიძის დახმარებით, ცისანა საგანგებოდ ჩავიდა ნიუ-იორკიდან ვაშინგტონში ბატონ პეტრესთან, რათა მისი პორტრეტის ჩანახატი გაეკეთებინა და შემდეგ ფერწერაში გაეცოცხლებინა მისი რანდიული სული. ბატონ პეტრეს ძალიან მოეწონა ცისანას ნამუშევარი და მას „ფერწერის ფერია“ უწოდა. სამწუხაროდ, ამ ცოტა ხნის

წინათ ბატონი პეტრე გარდაიცვალა, იგი საქართველოში ჩამოასვენეს და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. ცისანა ჯანაშვილის ნახატი კი დარჩა საქართველოში, როგორც უხუცესი ქართველი ემიგრანტის კეთილშობილების გამოხატულების სიმბოლო – ი.ჯ.).

ბოლო ათწლეულებში ცისანა ჯანაშვილი განსაკუთრებული აღმაფრენით მუშაობს დიდ ქართველ მაშულიშვილთა პორტრეტებზე, რომელთაგან საყურადღებოა თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ფიროსმანი, ტერენტი გრანელი, ტიცინ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, ოტია იოსელიანი, ნატო ვანნაძე, უშანგი ჩხეიძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, ბორის


გაპონოვი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ზვიად გამსახურდია, შალომ კობოშვილი, გერცელ ბააზოვი, ჯემალ აჯიამვილი, ჯუმბერ ლეჟავა და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა მორს ნაგვიყვანს. მის ნამუშევრებს ალტაცებაში მოჰყავს მხახველი, ხოლო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ-ნი ოთარ სეფიაშვილი აფასებდა რა მხატვრის შემოქმედებას, წერდა: „ცისანა ჯანაშვილის ნამუშევრები, პირველ რიგში გულწრფელი იპყრობს ქალური სიფაქიზით და სინატიფით, პლასტიკის მუსიკალობით, ასოციაციური აზროვნებისაკენ მიდრეკილებით. მის ფერტილოებზე უკონფლიქტოდ თანაარსებობენ ზედმინევიტ კონკრეტული და განზოგადებული, რეალური და ნარმოსახული, სინამდვილე და ნაოცნებარი.

1985 წელს მხატვარმა პლაკატად გამოუშვა თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც სწრაფად გავრცელდა. ესპანურენოვანმა ჟურნალმა „ოსმუსი“ შესთავაზა თანამშრომლობა და დაბეჭდა მის მიერ შესრულებული იბერიული ამერიკის პოპულარულ მომღერალთა პორტრეტები, ცისანა ჯანაშვილის სტუდიო-გამოფენებს არ აკლდება სტუმარ-დამთვალეირებელი, მოდიან ამერიკელები, უცხოელები, არტიზნისის ნარმომადგენლები.

ყოველი ხელოვანი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ხალხისათვის ქმნის, ერი კი თავს იწონებს საკუთარი ნიჭიერი შევლებით. ეს ბუნებრივია, თუმცა, იმისათვის რომ დააფასო, უნდა იცნობდე მათ ნამოღვაწარ-ნამუშევრებს. ამიტომაც გამოაქვთ ხალხისთ სამზოზე ჩვენს მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები, რომლებზეც ვინ იცის, რამდენი უძილო ღამის, შთაგონებასთან ჭიდილისა და მუხლჩაუჭრელი შრომის შედეგია, მაგრამ გულსატკეპნი, რომ მათ სტუდიო-გამოფენებზე უცხონი მეტი გვხვდებიან, ვიდრე ჩვენებზე. და მახსენდება ამერიკული გაზეთის „არტ სპიკის“ კრიტიკოს-მიმომხილველის სიტყვები, ჯერ კიდევ 1980 წელს მანჰეტენში, ლინ კატლერის გალერეაში გამოფენილ ცისანას ნამუშევრების გაცნობის შემდეგ რომ უთქვამს: „ყველაფერს საუკეთესოს, რასაც რუსეთი კარგავს, ვპოულობთ ჩვენ“. გამოდის: სხვანი პოულობენ, რასაც ჩვენ ვკარგავთ. არადა, გვერწმუნეთ, ნიჭიერი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის ფერტილოები არა მარტო სამხატვრო გალერეებს, არამედ უთუოდ დამშვენებდა და პრესტიჟულ იერს შესძინდა როგორც წელგამართულ ჩვენთანა დიდ ოფისებს, ისე ჩვენს ბინებსა და ყოველდღიურ ყოფას“.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ცისანა ჯანაშვილის მრავალმა ნამუშევარმა უკვე დაიდო ბინა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, მათ შორის, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში, ნალენჯიხის ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში, ბაღდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში და მრავალ კერძო კოლექციაში.

შარშან, ოქტომბრში შესაძლებლობა მომეცა ვნეოდი ნიუ-იორკს, სადაც უდიდესი პატივი მხვდა წილად ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის საბჭოსაგან მიმელო ღირსების სიგელი „ქართველ და ებრაელ ხალხთა ეროვნული და სულიერი რწმენისა და ტოლერანტობის, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების განმტკიცების უკეთილშობილეს სფეროში განუღი



გურამ თიკიანიძე

თვალსაჩინო წვლილის დასტურად“ და როგორ შემეძლო ქვინსში მეუღლესთან ერთად ჩასულს, არ ვსტუმრებოდი ჩვენი ოჯახის საყვარელი მეგობრის ბინა-სახელოსნოს, ბინა-მუზეუმს, სადაც ყველაფერი ხელოვნებით სუნთქავს. აქ, ამ პატარა სახლში, სილამაზის საოცარ სამყაროში ცხოვრობს შესანიშნავი ხელოვანი, გულწრფელი შემოქმედი, არაჩვეულებრივი მეგობარი და სიკეთით სავსე პიროვნება ცისანა ჯანაშვილი, რომელმაც კიდევ ერთხელ გვაზიარა ფერთა პარმონიას, გაგვაცნო ხელოვანის იდუალებით მოცული სამყარო, სადაც იშვიათად თუ მოხვდება ადამიანი. მზით განათიებულ მხატვრის სამყაროში შემოქმედის გვერდით გატარებული ერთი საღამო ისევე დაუვიწყარია ჩვენთვის, როგორც მის მიერ შექმნილი უბრწყინვალესი ტილოები.

შარშან, შემოდგომით, ცისანა ჯანაშვილი კვლავ ეწვია თბილისს, კვლავ მოეფერა დედაქალაქი სახელოვან შემოქმედს, მეგობრებს, ყველას ვესურდა ჩვენთან უფრო ხანგრძლივად ყოფილიყო, მაგრამ ათმა დღემ ისე სწრაფად გაიბინა, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, მაგრამ ვცდილობდით სიყვარული და თანადგომა არ მოგვეკლო ძვირფასი მეგობრისათვის. ნალენჯიხა დატოვა საქართველო დიდებულმა მხატვარმა, მაგრამ ახალი შთაბეჭდილებებით შინ დაბრუნებული, დარწმუნებული ვარ, ახალ-ახალი ნამუშევრებით გაგვიხარებს გულს.

ჯერ კიდევ სწორედ ამაზე ვფიქრობდი, რომ ცისანა ჯანაშვილმა ნიუ-იორკიდან კიდევ ერთი უძვირფასესი საჩუქარი გამომიგზავნა – ესაა მისი სულ ბოლო ნამუშევარი, ფერწერული ტილო „სიკეთის მთხვევი მზეჭაბუკის“ – გურამ თიკიანიძისა, რომლის პორტრეტის შექმნის იდეა ცოტა ხნის წინათ შევთავაზე მხატვარს და მან ეს ბრწყინვალედ განახორციელა უმოკლეს დროში. წელს, 12 სექტემბერს გურამ თიკიანიძეს დაბადებიდან 85 წელი უსრულდება.

დიდ მადლობას ვუხდის შესანიშნავ მეგობარს, მხატვარსა და შემოქმედს ცისანა ჯანაშვილს არა მხოლოდ გურამის პორტრეტისათვის, არამედ იმ სიყვარულისა და სიხარულისათვის, რასაც იგი ანიჭებს ადამიანს. შემოქმედის დანიშნულებაც ხომ ესაა.

P.S. სხვა ნამუშევრებთან ერთად, გიგზავნით ცისანა ჯანაშვილის მიერ შექმნილ გურამ თიკიანიძის პორტრეტს, რომელსაც პირველად თქვენი გაზეთის მეშვეობით გაეცნობა საზოგადოება.

ივანე ჯაფარიძე
საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი
დავით აღმაშენებლისა და ნიკო
ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი



ივანე ჯაფარიძე

ბაში, მაგრამ სულის სინაზე და შემოქმედებითი იმპულსი არასოდეს დაუკარგავს.

უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, ნიუ-იორკში, ქვინსში ცხოვრობს და მოღვაწეობს ეს შესანიშნავი ხელოვანი. იგი ცნობილი მხატვრის მიხილ ჯანაშვილის ქალიშვილია. ცხრამეტი წლისა იყო, როდესაც დიდი ალია დაიწყო, თბილისი დატოვა და ოჯახთან ერთად ისრაელში გამეგზავრა, ერთი წლის შემდეგ კი ამერიკაში დასახლდა. ცისანას მშობლებისგან დაჰყვა თავისი ბავშვობის ქალაქის განუზომელი სიყვარული და თაყვანისცემა. მის ნამუშევრებშიც იგრძნობა ბავშვობის ქალაქთან განმორებით გამოწვეული სევდიანი მოტივები და ღრმა სულიერი განცდა...დიდი ხნის განმორების შემდეგ,

ორი უკველესი პრის უნაზესი მსახური...

ვის არ უხილავს ბუნების უმშვენიერესი მოვლენა: კოკისპირული წვიმის დროს, თითქოს, ვიღაცის უჩინარმა ხელმა წვიმის მოციხვრო-მონაცრისფრო ფარდა გადასწავა, ცაზე მცხუნვარე მზე რომ გამოვხდებოდა?.. სწორედ, ამგვარ, იდუმალ მოვლენას ჰგავდა ნიუ-იორკში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი, კეთილი ურთიერთობის დამადასტურებელი საუკეთესო მაგალითის, დიდებული ქალბატონისა და უმშვენიერესი მხატვრის, ცისანა ჯანაშვილის, მზისებრი შემონათება ჩემს ურთულეს, მძიმე ცხოვრებაში...

ამ ქალბატონთან ორმა შეუდარებელმა ქართველმა მამაკაცმა დამამეგობრა. ერთი გახლდათ ვაშინგტონში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, საფრანგეთისა და ამერიკის ძველი ქართული ემიგრაციის უხუცესი ნარმოზადგენელი, 1967-1985 წლებში რადიო „ამერიკის ხმის“ ცნობილი ჟურნალისტი, ან გარდაცვლილი ბატონი პეტრე ხვედელიძე, მეორე — ფლორიდაში მცხოვრები ცნობილი ქართველი გოგონაფი, სპელეოლოგი და პუბლიცისტი, ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანი, რომელმაც ჩემი ლექსების კრებული გადაუგზავნა ქ-ნ ცისანას და საფუძველი ჩაუყარა ჩვენს მეგობრობას. ბატონი ჯუმბერი ცდილობდა მხატვრის გულამდე მიეტანა ჩემი პოეზია და, იმავდროულად, ჩემი პორტრეტის დახატვისკენაც უბიძგებდა (ჯუმბერ ჯიშკარიანს საოცრად უყვარს ადამიანების დახატვობა და მათთვის სიხარულის მინიჭება, რაც, დამეთანხმებით, იშვიათი თვისებაა...). ცისანა ჯანაშვილი მოხიბლა ჩემს მიერ შექმნილმა ჯორჯ ბაირონის ციკლმა „Remember me“ („მომიგონე მე“) და, აი, ამერიკის მინაზე დაიბადა ჩემი ლექსებით თაგონებული ახალი ტილო „ბაირონის პორტრეტი“, რომელსაც ჩემი პორტრეტის შექმნაც მოჰყვა (მოგვიანებით, ბ-ნმა ჯუმბერმა ფლორიდადან ჩამოიტანა ბაირონის პორტრეტის რეპროდუქცია, წარწერით: „თინათინ მღვდლიაშვილს — „პოეზიის დედოფალს“, ქართული სულის გადასარჩენად მებრძოლ ამორძალს, უსაზღვრო

სიყვარულითა და პატივისცემით ჯუმბერ ჯიშკარიანი. 2008 წელი, ფლორიდა, აშშ. მხატვარი ცისანა ჯანაშვილი, „ჯორჯ ბაირონი“ (ზეთი. 2008). ნიუიორკი“, და, თბილისში, ჩემი პოეზიის საღამოზე, საზეიმოდ გადმომცა. გავიდა დრო. ჩემსა და ცისანა ჯანაშვილს შორის მეგობრობა ახალ ფაზაში შევიდა... უამიდან ყამს, ცისანა მირეკავდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს ესაუბრობდით... მხატვარი თბილისში გატარებულ ბავშვობას, ახდენილ თუ აუხდენელ ოცნებებს იგონებდა, იმავდროულად, გამიმხილა, რომ ჩემმა პოეზიამ მას შემოქმედებითი იმპულსები გაუმძაფრა და მუშაობდა ციკლზე „ლურჯი იების ვატერლოო“ (2008-2009 წლებში შექმნილი ჟოზეფინა დე ბოარნეს მიერ ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი, რომელიც, მოგვიანებით, ფრანგულ ენაზე ითარგმნა და პარიზში დაიბეჭდა). ამ ციკლიდან, მხატვარმა, ყველაზე მძაფრი ლექსი — „ცეცხლი წყვილიდან და აგონია“, ამოარჩია. (ამ საოცარი ტილოს რეპროდუქცია დღეს ჩემი ოთახის კედელს ამშვენებს).

ერთხელ, ჩემს ძველ მეგობარს, ქართული კინოსა და თეატრის ნამდვილ ვარსკვლავს, აკაკი ხიდაშელს, ამ უჩვეულოდ ლამაზი მეგობრობის შესახებ ვუამბე. აკაკიმ მითხრა, რომ ბავშვობაში მეგობრობდა მეზობლად მცხოვრებ ერთ „ლამაზ, თეთრ, ფუმფულა გოგონასთან“ და ეჭვი გამოთვა, რომ, ის პატარა გოგონა, შესაძლოა, ცისანა ჯანაშვილი ყოფილიყო... და, მოხდა საოცრება!.. დიასაც, ის პატარა „თეთრი გოგონა“, რომელსაც მხატვარი მამიკო ჰყავდა და, რომლის დედასთან აკაკის დედა მეგობრობდა, სწორედ ცისანა ჯანაშვილი აღმოჩნდა. მე ჯუმბერ ჯიშკარიანისებურად მოვიქეცი, ქ-ნ ცისანას ვუთხარი, რომ აკაკი ხიდაშელი ცნობილი მსახიობი და საოცრად სიმპათიური მამაკაცი იყო, რასაც მათი ურთიერთობა და აკაკის არაჩვეულებრივი პორტრეტის შექმნა მოჰყვა... აი, ასე შეიქმნა ჩემი და აკაკის საუცხოო პორტრეტები ამერიკაში!..

გავიდა დრო... და, აი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის „ერთი მსახიობის

თეატრი“, ებრაულმა საზოგადოებამ, ცისანა ჯანაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოაწყო, სადაც მე, აკაკი ხიდაშელი და ჯუმბერ ჯიშკარიანიც მიგვიწვიეს, ხოლო გამოფენის დასრულების შემდეგ, მე და აკაკის, სიურპრიზის სახით, საჩუქრად გადმოგვცეს ჩვენი პორტრეტები. ეს კი, მერწმუნეთ, მართლაც, უმშვენიერესი საჩუქარი გახლდათ ამ უნიჭიერესი, უკეთილშობილესი, უღამაზესი მხატვრისგან, რომელსაც შეუძლია თავისი ნასათუთარი ტილოები, თავისივე შემოქმედების პერსონაჟებს უსასყიდლოდ, უფერცხლოდ გადასცეს და მათი სულელები გაახაროს!.. აი, ასეთი ქალბატონ გახლავთ მხატვარი ცისანა ჯანაშვილი, რომელმაც, ასევე, უსასყიდლოდ გადასცა ტერენტი გრანელის მუზეუმს პოეტის საოცარი, ენით აღუწერელი შთაგონებით შექმნილი პორტრეტი (საბედნიეროდ, იმ დღეს, მეც გახლდით წალენჯიხაში მდებარე გრანელის მუზეუმში და ჩემი თვალთ ვიხილე საოცრად ამაღლებული ნუთები, როდესაც ბ-მა ჯუმბერ ჯიშკარიანმა მუზეუმს ეს ძვირფასი საჩუქარი გადასცა).

და აი, ბოლოს და ბოლოს, დადგანანატრი დღე, როდესაც პირადად შევხვდი ქ-ნ ცისანას თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში მდებარე ქართული ემიგრაციის მუზეუმში (დირექტორი რუსუდან კობახიძე), სადაც მხატვრის პერსონალური გამოფენა მოეწყო.

გამოგიტყდებით, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა... ჩემ თვალწინ იდგა უღამაზესი, უნაზესი, სიყვარულით, სიკეთითა და ხელოვანისთვის დამახასიათებელი ფარული სევდით აღსავსე, სათნო და უსაზღვროდ მოხიბვლელი ქალბატონი...

ერთი შეხედვით, ვერც კი წარმიდგენდით, რომ ამ ნაზი არსების ფუნჯი იოსახურება ორ ქვეყანას, დედამიწის ორ უძველეს ერს და ორ მძლავრ კულტურას — ქართულსა და ებრაულს. ქალბატონი ცისანა ორივე სამშობლოდან შორს ცხოვრობს, მაგრამ, ორივე სამშობლო ტკივილამდე უყვარს და მისი ღე-



თინათინ მღვდლიაშვილი

თიკურთხეული მარჯვენა თანაბარი სიყვარულით ხატავს დათვი აღმამენებელს და მოსეს, თამარ მეფეს და ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონს და ზვიად გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძეს და კონსტანტინე გამსახურდიას...

განსაცვიფრებელია მხატვრის მიერ შექმნილი ავტოპორტრეტების უწყვეტი ნაკადი, ტალღებით რომ მიჰყვება ემიგრანტი მხატვრის მშფოთვარე, მარადიული სიყვარულითა და ქალური ტკივილებით აღსავსე რთულ, მაგრამ, იმავდროულად, უკიდევანოდ საინტერესო, სისხლსავსე ცხოვრებას... ქალბატონი ცისანა ჯანაშვილი თავად ჰყავს ბუმბერაზი პოეტის მიერ შექმნილ ბრწყინვალე ლექსს... იგი უფლის რჩეულია. ღმერთმა მისთვის მოიცალა და უხვად დააბურცა სილამაზე, სათნობა და ნიჭი!... ბედნიერი ვარ, რომ ცისანა ჯანაშვილის მეგობარი მქვია და, უფრო მეტიც, რომ ჩვენი ხელოვნება რქანითელის ვაზის რტოებივითაა ერთმანეთზე გადახლართულ-გადაჯაჭვული!..

თინათინ მღვდლიაშვილი

გაკვირვებულნი...

ძველ თბილისში, ხარფურხში ვცხოვრობდით. დედაჩემმა თავის მეგობართან, რამდენიმე ეზოს ზემოთ მცხოვრებ ქალბატონ ნადია ასიტაშვილთან მიმიყვანა. იქაურობა კარგად მახსოვდა, რადგან იქ ჩვენი სახლის შემის ოთხკუთხედი დაბალი ღუმელისგან განსხვავებით, ცილინდრული ფორმის და საწვავის წვეთ-წვეთად ჩამავალი შედარებით მაღალი ღუმელი იდგა. ისეთი, როგორც მანამადე არსად მქონდა ნანახი.

ქალბატონი საუბარი დაიწყო. ვერ ვიხსენებ მოლანდებასავით საიდ-ან გაჩნდა ოთახში უჩვეულოდ თეთრი და ლამაზი გოგონა. გაკვირვებული ვუყურებდი, რადგან არც ის ვიცოდი ვინ იყო და ვერც იმას ვხვდებოდი, სხვები რატომ ვერ ამჩნევდნენ ასეთ ლამაზსა და სევდიან არსებას. მახსოვს, როცა ოთახიდან გასვლისას, სახატავი ქალაღდებით ხელში გაიარა ჩემს წინ, მე უკვე იმდენად გამეშვებული დავყურებდი, თვალციკი არ

გავაყოლე, რომ მისი არსება არაფრით შემენახებინა.

დედას აღარაფერი ვკითხე. მივხვდი, რომ ის სევდიანი ბავშვი ნადია დეიდას შვილი იყო.

გამოხდა ხანი და საბურთალოზე მოგვცეს ბინა. დედაჩემის მეგობრის ოჯახსაც მისცეს ბინა. მეზობლად, გვერდით კვარტალში. ნადია დეიდაც გვესტუმრა და ჩვენც ვესტუმრეთ, მაგრამ სევდიანი გოგონა არ გამოჩენილა. უკვე ათი წლის ვიყავი და კარგად დამამახსოვრდა მიხილ ჯანაშვილის სახელოსნოში ნანახი ერთი ტილო და სათაური: „ლენინი იმპრესიონისტების გამოფენაზე“. გაკვირვებულ ლენინს ხელის ორივე მტევანი ისე ჰქონდა გაშლილი, თითქოს ამბობდა, — ეს რა სულელური ნახატებიაო. მახსოვს, რომ ლენინი თვითონ ჰგავდა სულელს.

მრავალჯერ გამხსენებია ორმაგი დატვირთვის მიხილ ჯანაშვილისეული



აკაკი ხიდაშელი

ტილო და სათაური. მრავალჯერ მიგრძვინა პატივისცემა იმ ჭკვიანი ადამიანის

მიმართ.

მრავალი წლის შემდეგ, როცა ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა ქალმა, თინათინ მღვდლიაშვილმა მითხრა, რომ ნიუ-იორკში ცხოვრობდა შესანიშნავი მხატვარი ქალი, დიდი მხატვრის, მიხილ ჯანაშვილის ქალიშვილი ცისანა ჯანაშვილი, გამეღიმა და ვუთხარი, რომ იმათი ღუმელიც კი მახსოვდა...

სწორედ თინათინ მღვდლიაშვილის მეოხებით, ბავშვობაში ნანახი და განცდილი პატარა გოგონას (თითქოსდა ნინასწარმეტყველური) დიდი სევდა, ახლა უკვე ემიგრანტ ცისანა ჯანაშვილის შემოქმედებაში, მრავალ ტილოზე ალბეჭდილი ვნახე. უკულმართი სამყაროსგან აღძრული სევდა. ემიგრანტის სევდა.

... და, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ვხვდავთ, რომ ცისანა ჯანაშვილის მუზა ადამიანია; მის მიმართ სიყვარულია.

ვისურვებდი, რომ ის შრომა, რაც მან თუნდაც ქართველ მოღვაწეთა პორტრეტების შექმნით გასწია, შესაბამისად იყოს დაფასებული.

აკაკი ხიდაშელი

მხატვარი

მეხსიერებას შემორჩა თბილისური შემოდგომის ერთი მშვიდი საღამო: ვაჟა ფშაველას პროსპექტსა და ნუცუბიძის ქუჩას შორის — ნუცუბიძის ქუჩასთან ახლოს, იდგა ერთი ჩვეულებრივი — იმდროინდელი საამშენებლო ინდუსტრიის „მონაპოვარი“ ოთხსართულიანი სახლი. ჩემი სახლიდან სულ რაღაც 10-15 წუთის სავალზე. ამ ნაგებობის, გვიანებ, მეორე სართულზე მხატვარ მიშა (მორდეხაი) ჯანაშვილის სახელოსნო გახლდათ. ჩინებული კრიტიკოსი, დრამატურგი გიგლა ხუხაშვილი და მე მიშას სახელოსნოში ვართ. მის ნახატებს ვათვალიერებთ. გიგლა

ლაპარაკობს, მე მდუმარე შევყურებ ნახატებს, რამდენიმე ნამუშევარი იქცევს ყურადღებას, მაგრამ კარლ მარქსის პორტრეტი, ცოტა უჩვეულო, ყოფითი ანტურაჟის გამო, მეტ ყურადღებას იმსახურებს. კარლ მარქსს ყოველთვის განსაკუთრებულ გარემოცვაში წარმოსახავენ ხოლმე, აქ კი ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივია, ყოფითი და ეს მომწონს.

მერე გიგლა და მე ჩემი სახლისაკენ მოვიდვართ — ნუცუბიძის ქუჩაზე აუჩქარებლად ბაასით მოვაბიჯებთ (მაშინ ეს ქუჩა ერთობ მშვიდი იყო — საათში სამი-ოთხი მანქანა თუ გავილ-

იდა) და ვსაუბრობთ მიშაზე, როგორც მშვენიერ პორტრეტისტზე, ერთობ გულდაგულ კაცზე, ქართლელისათვის დამახასიათებელ გულდიაობასა და ლიმილიანობაზე.

გამოხდა ხანი. მიშა ისრაელს წავიდა.

და დღეს მე ჯანაშვილთა ორი ფერწერული ტილო მაქვს. ერთია მიშას მიერ დახატული „ცხენი“, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ მისმა ქვრივმა — ქ-მა ვერიკომ მაჩუქა, მეორე კი მიშას ქალიშვილის — ერთობ ცნობილი მხატვრის ქ-ნ ცისანა ჯანაშვილის პორტრეტი „გურამ ბათნაშვილი“ ორივე ტილო, გარდა იმისა, რომ მარწმუნებს ქართველ ებრაელთა დიდ შემოქმედებით პოტენციალში, სასიამოვნო ფიქრს აღმიძრავს.

პორტრეტების თაობაზე: პირველად ჩემი პორტრეტი დღეს ასევე ცნობილმა, მაგრამ მაშინ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, სრულიად ახალგაზრდა მიხილ ხუნდიაშვილმა შექმნა. დღეს ისრაელში მრავალ ოჯახში მინახავს მის მიერ დახატული ღირსეული პიროვნებები. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიდასტურებს, რომ იგი ჩინებული პორტრეტისტი გახდა.

მაშინ, იმ წლებში ასევე ჭაბუკი შემოქმედებითი ძიებებით გატაცებული გახლდათ გოგოკა (გიორგი) გეგეჭკორი. იგი არის შვილი ჩემთვის (არა მხოლოდ ჩემთვის!) ძალზე ძვირფასი ორი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის — თეატრმცოდნეობის პროფესორის ნათელა ურუშაძის და უზადო არტისტის გიორგი გეგეჭკორისა.

რას ვპირობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



შიმონ ნიშვაშვილი

წინა კვირის თავი "ფარაშათ ნასო" დასრულდა იმით, რომ ისრაელის თორმეტივე შტომ შესწირა შესანიშნავი ტაძარის ბეით ჰამიკდაში გახსნის პირველი 12 დღის განმავლობაში. ყველა შტომ ერთიადიგივე შესანიშნავი შესწირა, ხოლო ლევის შტოს არ შეუწირია შესანიშნავი. აპარონ ჰაქოჰენი ნუხდა იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა წილი შესწირავში, აკადომ ბარუხუ გამოეცხადა მოშე რაბინუს და უთხრა, რომ დაწყნარებულიყო მისი ძმა აპარონ ჰაქოჰენი, რამეთუ მომავალში იგი შეასრულებდა ისეთ "მიცვას" რომელიც განსხვავებული იქნებოდა ყველა შტოების შესწირისაგან, ყველა შტომ შეწირა

ბ
ე
ს
ა
ს
წ
ე
ს
ა
ს

ერთჯერადი შესწირი ხოლო აპარონ ჰაქოჰენის მიცვა იქნებოდა ყოველდღიური შესწირულებელი მიცვა. ეს მიცვა იყო ბეთ ჰამიკდაში სანთლების ანთება. არამართო აპარონ ჰაქოჰენი აანთებს არამედ მისი შთამომავლობაც განაგრძობს ამ მიცვის შესრულებას. ამით რას გვასწავლის თორა? თუ ადამიანი აღმოჩნდება ისეთ სიტუაციაში, როცა არ ევალება რაიმე მიცვის შესრულება უნდა ნუხდეს, რომ მას არ ევალება მიცვის შესრულება და უნდა ილოცოს გამჩენის წინაშე, რომ გამოუგზავნოს მიცვები. ზუსტად ამას გვასწავლის თორა, რომ როდესაც აპარონ ჰაქოჰენს არ დაავალა აკადომ ბარუხ ჰუმ შესწირის მოტანა ნუხდა, რომ მიცვას ვერ ასრულებდა და მაშინვე ილოცა გამჩენის წინაშე, რათა გამოეგზავნა რაიმე მიცვა. იგივეს ვსწავლობთ ავრაჰამ ავინუსაგან, როდესაც შეასრულა გამჩენის დავალება, რომ ჩაეტარებინა თავისივე ბრით მილა, მესამე დღეს განსაკუთრებულად სტკივალს და ვიცით, რომ განსაკუთრებულად ასრულებდა კეთილი საქმეების გაკეთების — მიცვას ბევრ ხალხს ლეზლობდა კარავში და აპურებდა, მესამე დღეს, როცა ჭრილობა ძლიერ ანუხებდა გამჩენმა ისე გააკეთა, რომ იმ დროს ქუჩაში არავის მივლინა, აბრაჰამი არ შეწუხებულყო სტუმრის მიღებით, აბრაჰამ ავინუ კი ნუხდა, რომ ვერ ასრულებდა სტუმრის მიღების მიცვას და რახან ნუხდა, გამჩენმა გამოუგზავნა 3 აბგელოზი, რომ მიეღო ისინი სტუმრად.

ჩვენ რაბებს მოყავთ შემთხვევა, რომელიც გადახდა ერთ-ერთ მდიდარ ებრაელს. მას ჰყავდა სამი მეგობარი, ერთი ძალიან საყვარელი და ახლო მეგობარი მეორე ნაკლებად ახლო და მესამე შეიძლება ვთქვათ, უბრალოდ ნაცნობი. ერთხელაც ეს ებრაელი გამოიძახა მეფემ, მდიდარი ებრაელი მიხვდა, რომ სავარაუდოთ რაღაც დააშავა და ამიტომ გამოიძახა მეფემ, წავიდა ყველაზე ახლო მეგობართან და თხოვა გაყოლოდა მას მეფესთან და დახმარებოდა. მეგობარმა უთხრა რომ ძალიან დაკავებულია და ვერ დაეხმარება, მივიდა მეორე მეგობართან იგივე თხოვნი, მანაც უთხრა რომ დიდ პატივს სცემდა ყოველთვის და მომავალშიც ეგრე გააგრძელებს, მაგრამ მას შეუძლია დაეხმაროს მხოლოდ იმით, რომ მეფის სასახლემდე მიაცილოს, მდიდარ ებრაელს

მეფესთან მიიწვი მარტო უნევედა შესვლა. ბოლოს იგივე თხოვნი მიმართა იმ ნაცნობს დახმარებისთვის, მაგრამ უიმედოდ რადგან მასთან არც თუ ისე ახლოს იყო და იმედ არ ჰქონდა დახმარების, მაგრამ ნაცნობმა პირობა მისცა რომ დაეხმარებოდა და ბოლომდე მხარში ამოუდგა გაყვა მეფესთან და მეფესთანაც ყველაფერში დაეხმარა და საკითხიც მშვიდობიანად დამთავრდა.

ამით რას გვასწავლიან აქედან ჩვენი რაბები? ეს მდიდარი ებრაელი არის შედარებული გარდაცვლილ ისრაელის შვილთან. როდესაც ისრაელის შვილი აბრამანდებდა სიცოცხლეში მას ყავდა ყველაზე ახლო მეგობარი ვისთვისაც მთელი ცხოვრება შრომობდა ეს არის მისი ქონება მაგრამ როცა აბრამანდებდა და უნდა ჩააბაროს აკადომ ბარუხ ჰუს ანგარიში, ქონება ვერ ეხმარება. მას ყავს მეორე ახლო მეგობარი ესენი არიან დანატოვრები — მისი ოჯახი, ნათესავეები და მეგობრები მას დახმარებენ მათ მხოლოდ სამეფო სასახლემდე მიცილება შეუძლიათ და პატივისცემა კი არის საფლავამდე მიცილება და მისი დაფასება სათანადოდ, მაგრამ აკადომ ბარუხ ჰუს წინაშე ანგარიშის ჩაბარებაში ვერ დაეხმარებიან. მაგრამ მას ყავს აგრეთვე თავისი გაგებით ნაცნობი, რომელიც მხარში უდგება, ყველაფერში ეხმარება და მეფესთანაც მიყვება და მის წინაშე ანგარიშის ჩაბარებაშიც დაეხმარება ესენია მის მიერ შესრულებული მიცვები, ადამიანის ცხოვრებაში გამჩენის მიცვები ხანდახან მეორე ხარისხოვანია, ან უფრო უკანაც დგანან, მაგრამ რით იმკვიდრებს ადამიანი გან ედენს და დიდ ოლამ ჰაბას? იმით რაც უფრო მეტ მიცვებს ასრულებს თან ხარისხიანად, თუ როგორ დანატოვარს დატოვს და როგორ აღზრდის შვილებს, მიცვები ეხმარებიან ადამიანს რომ კარგი ანგარიში ჩააბაროს აკადომ ბარუხ ჰუს, ამიტომ ადამიანი უნდა ასრულებდეს მიცვებს ყოველთვის, როდესაც ადამიანი მიცვის გარეშე რჩება, უნდა ნუხდეს რომ არ ასრულებს მიცვებს და მიისწრაფებოდეს მიცვებისკენ.

გამჩენმა მრავალ მიცვებზე დაგვამაღლიანოს ყოველთვის ყველა ისრაელის შვილი და პირნათლად შეგვესრულებინოს ყველა მიცვა.

შაბათ შალომ უმეგორას.

ამირ ორი და ედით რონენი თბილისში

საქართველოს კულტურის სამინისტრო და თბილისის მწერალთა სახლი ყოველწლიურად ატარებენ ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალს. ფესტივალის სტუმრები სისტემატურად გახლავან ამათუიმ სახელმწიფოში აღიარებული პროზაიკოსები, პოეტები. ბოლო წლებში ფესტივალზე ისრაელელი შემოქმედნიც გამოჩნდნენ — შარშან ჩამოსული გახლდათ პროზაიკოსი ედგარ კერეთი, წელს ფესტივალზე ჩამოვიდნენ ჩეხი, გერმანელი, ამერიკელი, რუსი, თუ სხვა ეროვნების პოეტები. ისრაელიდან გვეწვივნენ პოეტი და პროზაიკოსი ამირ ორი, და პოეტი ქალბატონი ედით რონენი.

ამირ ორის ლექსები, პროზა თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე — იქნება ეს ევროპული ქვეყნების ენები, თუ იაპონური, ჩინური, თუ სხვა. ასევე იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის დოქტორის, ხუთი შვილის დედის — ედით რონენის ლექსები და პოემები. მათი ნაწარმოებების მთავარი თემაა ადამიანის სულში მიმდინარე პროცესები, ადამიანი და სამყარო, პიროვნების განცდები, ორივე პოეტის სულში ღრმა კვალი გაუვლია ებრაელი ერის ტრადიციულ ყოფას პოლოკოსტის წლებში (ამირ ორის ნაამბობიდან: პირველად რომ დამპატიჟეს გერმანიაში, არ წავედი — არაფრით არ შემეძლო იმ ქვეყანაში, იმით შთამომავლობასთან მივსულიყავ, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომში ჩემი ნათესაობა ამოწყობა. მეორე მინვევაზეც, ცხადია, უარი ვთქვი. მეგობარმა პოეტებმა მიჩიქეს პირიქით უნდა მოიქცე: რომ განთავისუფლდე, უნდა ნახვიდეო. მესამე მინვევაზე წავედი, დაეწერე ლექსი და შინაგანად განვთავისუფლდი),რამაც მათს ლექსებში ჩინებული პოეტური ქმნილებებით ჰპოვა გამოძახილი.

ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალის მთავარი ამოცანა გახლავთ ახალი თაობის ქართველი და უცხოელი პოეტების შემოქმედებითი დაკავშირება-დაახლოება, უცხოელი მწერლების ქართულ ენაზე თარგმნა და ქართველი მწერლებისა სხვადასხვა ენებზე. ამირ ორი და ედით რონენი ამ მიზნით ქართველ პოეტებთან და მთარგმნელებთან ნიკა ჯორჯანელთან და დალილა გოგიასთან ერთად რამდენიმე დღე ყაზბეგში ერთობლივად იღწვოდნენ — განზრახულია უახლოეს ხანს ისრაელში გამოიცივს ქართული პოეზიის ანთოლოგია, ხოლო ნიკა ჯორჯანელმა და დალილა გოგიამ ქართულად თარგმნეს ამირ ორისა და ედით რონენის ლექსები.

29 მაისს თბილისში მოზრუნებულ ისრაელელ პოეტებს შეხვედრა მოუწყეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც გახსნა და მიჰყავდა ჰუმანიტარული მიმართულების მეცნიერებათა ფაკულტეტების დეკანს, პროფესორ მარიკა ჩაჩიბაიას. ქ-მა მარიკა ჩაჩიბაიამ შეკრებილ სტუდენტებს, ასპირანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს (უმთავრესად სემიტოლოგებს) წარუდგინა სტუმრები ისრაელში მათი შემოქმედების ძირითად მიმართულებებზე. ამირ ორმა და ედით რონენმა წაიკითხეს თავისთავიანთი ლექსები, რომელთა თარგმანებს იქვე კითხულობდა დალილა გოგია. სტუდენტებმა, ასპირანტებმა სტუმრებს დაუსვეს შეკითხვები (საგულისხმოა, რომ კითხვა პასუხი უმეტესწილად ივრითვე მიმდინარეობდა), რომლებიც შეხებულა ისრაელის ლიტერატურულ ცხოვრებას, იმ ტენდენციას, რომელიც დღევანდელი ისრაელის ლიტერატურაში მძლავრობს. პროფესორ მამუკა ბუცხრიძის შეკითხვაზე იცნობს თუ არა ამირ ორი ვეფხისტყაოსნის ივრითულ თარგმანს, ისრაელელმა პოეტმა ვრცლად ისაუბრა ბორის გაპონოვზე, მის მთარგმნელობით ოსტატობაზე, ვეფხისტყაოსანზე, ხოლო კითხვაზე, თუ რა იცის ქართველი ებრაელობის თაობაზე, ამირ ორმა თქვა, რომ თბილისში მოინახულა ბეთ ქნესეთი, ისრაელში კარგად იცნობს არაერთ ქართველ ებრაელს და პატივს სცემს მათ.



ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალი იმავე საღამოს გაიხსნა თბილისის მწერალთა სახლში. ფესტივალის გახსნის პატივი ამირ ორს ზედა წილად აქვს ასევე იყო, როგორც უნივერსიტეტში — ამირ ორი კითხულობდა, მის თარგმანებს კი ნიკა ჯორჯანელი წარადგენდა. შემდეგ გაიმართა მწერალთა საგულდაგულო საუბარი ჩვენს დროში მწერლის ადგილსა და როლზე, ამირ ორის შემოქმედებით თავისებურებაზე.

31 მაისს კი მწერლის სახლშივე გაიმართა ედით რონენის წარდგინება. პოეტმა ქალბატონმა წაიკითხა ერთობ საინტერესო ლექსები, დალილა გოგია კი ამ ლექსების თავისსა და ლელა სამნიაშვილის თარგმანებს კითხულობდა.

ამირ ორი და ედით რონენი თბილისში შეხვედნენ მწერალსა და დრამატურგს გურამ ბათიაშვილს. მწერლებმა ისაუბრეს შემოქმედებით საკითხებზე, საქართველოს ებრაელობაზე.

ეს იყო 1990 წელს. შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი ჩემს პიესას „შეთქმულებას“ ამზადებდა. ბატონი გოგი გვეჭკორი — უფროსი ერთ-ერთ მთავარ — თბილისის სამოქალაქო ექს გუბერნატორის ზაგილიეცკის როლს ამზადებდა („შეთქმულების“ პრემიერამ და შემდგომ რამდენიმე სეზონში თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდი ოსტატი გახლდათ ბ-ნი გოგი). სწორედ იმ რეპეტიციის თვეებში, მოინადინა გოგიკამ დავეხატე. ნახატი ფანქრითაა შესრულებული და მომწონს იმიტომ რომ მხატვარმა შექმნა მჭევრვარე დრამატურგის სახე — იგი გამოხატავს ჩემს იმდროინდელ სულიერ მდგომარეობას. მოგეხსენებათ, შოთა რუსთაველის თეატრი პიესის დადგმა ისეთ საკამათო, მღელვარეების აღმძვრელ თემაზე, როგორც 1832 წლის შეთქმულება გახლავთ, თანაც იმ წლებში, როცა მთელი საქართველო

ბორგავდა და შფოთავდა, თეატრიდან ასიოდე მეტრის მანძილზე კი მიტინგები არ წყდებოდა, ჭმუნვის საგანი უთუოდ გახლდათ. ალბათ ამიტომაც: ნახატზე ერთგვარად გორობდა გამოვიყურები. გოგიკა კი დღესაც „ჩემო გოეროზო“ მეძახის, ან მე ვეუბნები „გოროზი“ გირეკავ-მეთქი. ცისანა ჯანაშვილს 2009 წელს დავუხატინე. აი, ცისანა კი უკვე ცნობილი ფერმწერი გახლდათ. მახსოვს: ამ წელს მარჯანიშვილის თეატრი სანტა ბარბარაში შექპირის ფესტივალზე გახლდათ მინვეული, როგორც ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი თეატრს ფესტივალზე ვახლდი, ფესტივალის შემდეგ ნიუ-იორკში ჩამოვედით და „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ორჯერ გაიმართა. ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველ ებრაელთაგან კული ორი-სამი ოჯახი თუ ესწრებოდა სპექტაკლს. ერთ-ერთი ამათვანი ცისანა ჯანაშვილი გახლდათ. ანტრაქტში შეხვედით

ერთმანეთს. მაშინ გამიმხოლა თავისი სურვილი დავეხატე. მე ეს სურვილი სურვილად ჩავთვალე, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შევიტყვე რომ სურვილი განუთხოვრციელია. ნახატი პირველად გაზეთ „დავითის ფარის“ ფურცლებზე ვნახე. მოგეხსენებათ, გაზეთში დაბეჭდილი ნახატი მიახლოებოდაც კი ვერ გამოხატავს ნაწარმოების ღირსებას. ამ ერთი თავის წინაით, ნიუ-იორკში ყოფნისას, ცისანა ჯანაშვილმა ნახატი მაჩუქა. აი, ამჯერად კი სრულად დავიხატე მისი ღირსება და ისიც, თუ რაოდენ ჩინებული ფერმწერი გვყავს ცისანა ჯანაშვილის სახით. მე როგორც „ნატურ“ ამ თემაზე სიტყვას აღარ ვაგავრძელებ და ნიუ-იორკში მცხოვრებ ცნობილ ჟურნალისტს ქ-მანანა ჯინჯიხაშვილის სტრიქონებს მოვიშვებელი. აი, რა დაუწერია მ. ჯინჯიხაშვილს, როცა ცისანა ჯანაშვილის ტილოს „გურამ ბათიაშვილი“ „ფეისბუქის“ გვერდზე გასცნობია:

მანანა ჯინჯიხაშვილი: „მახსოვს, გეუბნებოდი, დიდი ინტერესით ვნახავდა გურამ ბათიაშვილის შენეულ პორტრეტს-მეთქი. არის პორტრეტული მსგავსება, მაგრამ რაც მთავარია, საოცრად არის გადმოცემული მისი ნამდვილი ბუნება — თითქოს რაღაცას უყურებს ისეთს, თავისებურად, კომპლექსურად რომ უნდა აღწეროს, მკითხველს გაუზიაროს და კიდევ ახალი, მეტი და მეტი მოძებნოს. მე არ ვიცი ფერები ორიგინალში როგორ „მუშაობს“, მაგრამ ჩემთან, ჩემი აზრით, მაგრადაა შესრულებული. უნახავს თვითონ ეს პორტრეტი?“
ჩემის მხრიდან დავსძენ: ვნახე და ერთობ მაღლიერი დავრჩი ცისანა ჯანაშვილისა და სურვილიც გამიჩნდა: ქართველ ებრაელობაში იმრავლონ ასეთმა ხელოვანმა ადამიანებმა!
ბურაგ ბათიაშვილი

ტრამპის ებრაელი ქალიშვილი — ვაშინგტონის ყველაზე გავლენიანი ქალი

შესაძლებელია, აშშ-ში პირველი ლედის ინსტიტუტთან ერთად გაჩნდეს პირველი ქალიშვილის ტიტულიც. ამ როლში დებიუტანტად მოგვევლინება ივანკა ტრამპი, პრეზიდენტის ოჯახში ალბათ, პირველი ქაშერი ებრაელი ქალი. ივანკა თავის დედინაცვალს არც სიმალლით ჩამორჩება და არც-სილამაზით, ხოლო ინგლისურად უაქცენტოდ ლაპარაკობს. მამისა არ იყოს, უორტონის უალრესად პრესტჟულ სკოლაში სწავლობდა.

ივანკა 14 წლისა იყო, როცა აღმოაჩინა, რომ ვიღაცამ მისი სახელობის მალაზია გახსნა. 14 წლის მოზარდი გოგონები იშვიათად ინტერესდებიან ბიზნესით. ივანკა ტრამპი კი სულ სხვა იყო: ნიუ-იორკელი პიარის სპეციალისტი ამბობს: „14 წლის ივანკა უკვე ბიზნეს-ლედის იყო“ ივანკა დონალდ ტრამპის არა მხოლოდ უსაყვარლესი შვილია, არამედ მისი ალი-კვალი — გოგონამ დაიყინა ჩემი სახელით მოსარგებლე მოვაჭრეთ, პასუხი უნდა ვაგებინოთ.

ამასწინათ ივანკა, მისი მეუღლე ჯარედ კუშნერი და მათი შვილები (ხუთი წლის არაბელა, სამი წლის ჯოზეფი, და ათი თვის თეოდორი) ვაშინგტონის პრესტიჟულ რაიონში გადასახლდნენ — თეთრი სახლიდან ხუთიოდე წუთის სავალზე (ფეხით). მათი სამსართულიანი სახლი ბარაკ ობამას მეზობლადაა, ამ სახლში ექვსი საძინებელი



მამასთან ერთად

არის ივანკა — მას ყველაზე ლამაზი სხეული აქვს. ჩემი შვილი რომ არ იყოს, პაემანს დაუზნებდავდი“ არჩევნების წინ ტრამპს ეს სიტყვები გაუხსენეს, ივანკას დიდი მეცადინეობა დასჭირდა სიტუაციის შესაცვლელად.

2005 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ივანკა საოჯახო ბიზნესში შევიდა. ხუთი წლის შემდეგ დირექტორის მოადგილე გახდა და მიიღო უფლება ხელი მოეწერა ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებზე. ნაცნობები ამბობენ, რომ იგი არის ძლიერი და ჭკვიანი, რომელსაც ანალიტიკური განება აქვს.

მდიდარი ებრაული ოჯახის შვილი — ჯარედ კუშნერი ივანკამ 2005 წელს, საქმიან შეხვედრაზე გაიცნო. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. კუშნერმა ჰარვარდი და ნიუ-იორკის უნივერსიტეტი დაამთავრა. ამჟამად იგი მამის უძრავი ქონების იმპერიას მეთაურობს. ეს ლამაზი წყვილი სამი წელი ხვდებოდა ერთმანეთს, მაგრამ დაქორწინებას ვერ ახერხებდნენ — ჯარედის მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ მათი ვაჟი არაებრაელზე დაქორწინებულიყო. ჯარედზე ზეწოლა იმდენად ძლიერი იყო, რომ ტრამპის ქალიშვილი და კუშნერი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ რომელიღაც ღონისძიებაზე შემთხვევით გადაეყარნენ ერთმანეთს და...სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა.

ორივემ ერთად — ივანკამაც და ჯარედმაც, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საპატარძლო გიურს* გაივლიდა. ქორწილის შემდეგ ცოლ-ქმარი პარკ ავენიუზე, დიდებულ ბინაში დასახლდა, აქ გაჩნდა მათი სამი შვილი. ეს ოჯახი ორთოდოქსალურ ებრაელთათვის ჩვეულ ცხოვრებას ეწევა. საერო ყოფას არ წყდებიან, მაგრამ მკაცრად იცავენ ებრაულ კანონებს. ამასწინათ ივანკა ტრამპი — კუშნერისა აცხადებდა, რომ პარასკევს, საღამო ხანს მათს ოჯახში ყველა ტელეფონი გამოირთვევა მანამ სანამ შაბათს საღამოს ცაზე ვარსკვლავები არ გამოჩნდებიან. ტრამპი დღემდე ვერ შეეგუა შვილის ასეთ საშაბათო დასვენებას — იგი არა მხოლოდ ტელეფონზე, ტვიტერზეც არ პასუხობს მამას,

ამ ახალგაზრდული ოჯახის მეგობრები ცოლ-ქმარს ძალიან დადებითად ახასიათებენ. ერთობ თავაზიანი,

ყურადღებიანი არიან — ძალიან კარგ ორგანიზაციას უკეთებენ სხვადასხვა საოჯახო ღონისძიებასო. ჯარედი რთულ სიტუაციაში დიდ სიბრძნეს ავლენსო, შუარმის დიდი მოყვარულია და ისრაელში ჩასული, დაეძებს, თუ სად შეიძლება კარგი შუარმის მირთმევა.

სამიოდე წლის წინათ — სამხედრო ოპერაციისას „ურყევი კლდე“, როდესაც ისრაელის თავზე „ხამასის“ რაკეტები ცვიოდა, ისრაელში ჩავიდა. ჯარედი იგონებს:

— ივანკას ძლიერ არ მოსწონდა, ისრაელში რაკეტების ქვეშ რომ ვიყავი, მიშლიდა, არ ნახვიდო, მე მესმის მისი — პატარა შვილები გვყავს, მაგრამ მე ავუსხენი: ებრაელი ვარ და ახლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ ისრაელში ვიყო-მეთქი.

ერთმა ამერიკელმა პუბლიცისტმა თქვა:

— ივანკა, როგორც პოლიტიკოსი, მამაზე ძლიერია, მას უფრო შეუძლია საკუთარი თავის ფლობა, ვიდრე მამას, მას უკეთ ესმის პოლიტიკური თამაშის წესები, გაცილებით ლიბერალურია და შეეცდება შეარბილოს მამის ზოგერთი გადანეტილება. მამას ძლიერ უყვარს ივანკა, ანებივრებს, ეს ივანკას აქცევს ვაშინგტონის ყველაზე გავლენიან ქალბატონად.

მას შემდეგ, რაც ივანკა და ჯარედი ვაშინგტონში გადასახლდნენ, დიდი ბჭობა გაიმართა იმაზე, ეს ოჯახი სალოცავად, თუ რომელ სინაგოგაში ივლიდა. საცხოვრებელს რომ ირჩევდნენ, იმასაც უნებდნენ ანგარიშს, თუ სად მდებარეობდა სინაგოგა — შაბათს ხომ ტრანსპორტის გარეშე — ფეხით უნდა მივიდნენ სინაგოგაში. ბინა, რომელიც აირჩიეს, ნახევარი მილით არის დაშორებული სამლოცველოს და ეკუთვნის „ ხაბადს.“ ეს არის The Shul. ამ სინაგოგაში, პარასკევ საღამოს, შაბათის შემობრძანებისას, თავს იყრიან მაღალი კლასის პოლიტიკოსები, როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელები — დაახლოებით 50 მლოცველი. რაბინი ლევი შემტოვი კარგა ხანია იღწვის, იმისათვის, რომ ამ სალოცავში მოიზიდოს ებრაელი პოლიტიკოსები. მისი ყველაზე ცნობილი ღონისძიება: ყოველ ხანუქაში თეთრ სახლთან ანთებს სახანუქე მენორას. ეს მენორა საშობაი ნაძვის ხესთან დგას. ხანუქის დღეებში ათასობით ადამიანი ყიდულობს ბილეთს იმისათვის, რომ უცქიროს რაბინები ამწე კრანით როგორ ადიან მალლა, რათა გიგანტურ მენორაზე ნათურები აანთონ.

როგორც ვარაუდობენ, ივანკა და ჯარედი სწორედ ამ სინაგოგაზე შეაჩერებენ არჩევანს.

კამათი არის იმაზეც, თუ რომელ სკოლაში მიაბარებენ ბავშვებს. თუმცა, უფროსი ვაჟის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია — იგი ებრაულ დაწყებით დღის სკოლაში ისწავლის. კლივლენდ პარკში კონსერვატულ სინაგოგა „ადას ისრაელთან“ დაახლოებულია ადამიანებმა თქვეს, რომ ივანკა და ჯარედი დაინტერესდნენ თუ როგორია აქ სკოლამდელთა სწავლების პროცესი — შუათანა ბავშვისათვის.



მეუღლესთან ერთად

ლი ოთახი და შვიდი სააბაზანოა, ყველა ოთახში ბუხარი. აშკარაა, რომ 35 წლის ივანკა აშშ 45-ე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ყველაზე გავლენიანი პიროვნება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არა-რა პოსტი არ უჭირავს.

ივანკა დონალდ ტრამპის შუათანა შვილია, პრეზიდენტის შვილთაგან მხოლოდ ის გადასახლდა ვაშინგტონში — საარჩევნო კომპანიის თვეებში მამას ეხმარებოდა. ივანკა ცხრა წლის იყო, მისი მშობლები ერთმანეთს რომ დაშორდნენ, პაპარაცები კუდში დასდევდნენ, სკოლასთანაც კი უდარაჯებდნენ, ოჯახურ ცხოვრებაზე რაიმე პიკანტური ამბავი რომ გამოეცინცლათ. ვიდრე ივანკას დედა ქმრის სიმდიდრით ბაქიაობდა და ყველაფრის გამოჩენას ცდილობდა, ივანკა მამის ყურადღების მიქცევას ცდილობდა. მკაცრ მამასაც ძლიერ უყვარდა ეს ამბიციური და გონიერი შვილი. ამბობენ, ტრამპის მდივანი ვაჟიშვილებს ყოველთვის არ აერთებდა მამასთან, როცა ისინი ტრამპს ურეკავდნენ, მაგრამ ივანკას ზარის იგნორირება არასოდეს უცდიაო.

დონალდ ტრამპი, იმისათვის, რომ დისციპლინირებული გამხდარიყო, 13 წლისა სამხედრო ინტერნეტში მიაბარეს. 15 წლის ივანკა კი კონექტიკუტის პრესტიჟულ კერძო სკოლაში წავიდა და პირველსავე წელს მოდების ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მოდელის პროფესიას არ გაჰყვა, თუმცა, მამა ძლიერ ამაცობდა როცა შვილს პოდუმიზე ხედავდა. 15 წლის წინათ, რადიონამყვან პოვარდ სტერნს უთხრა: „იცი, ყველაზე მშვენიერი, რაც მე სამყაროს მიეცე,

* გიური — არაებრაელის იუდაიზმზე მოქცევა. გიურისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი, იუდაიზმზე გადასვლის მსურველმა ამის თაობაზე განაცხადოს — საჭიროა მსურველმა გაიაროს სულ ცოტა ერთწლიანი კურსი, შეისწავლოს იუდაიზმი, მისი კანონები, ებრაელთა ტრადიცია და შემდეგ ჩააბაროს გამოცდა.

"ოლამი ჯორჯია"

აცხადებს მიღებას სტარს ინტენსივის ჯგუფებში
ბობოთებისათვის და ჰაჭაბისათვის
18-28 წლამდე

ბობოთებისათვის თორა და ივრითი
ჰაჭაბისათვის თალმუდი და ჰალახა
სტიპენდია ბარათზე დაკავშირებით:
ბობოთებისათვის - 300ლარამდე ჰაჭაბისათვის - 800ლარამდე

ბასაუბრება შედგება 2 ივლისს

ჰაჭაბისათვის 14:00 საათიდან
ბობოთებისათვის 15:00 საათიდან

აღბილავის რათლმეობა შეზღუდულია
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
პირიდან ხუთშაბათის ჩათვლით
11:00-18:00 საათამდე ნომრებზე:
555 569 562; 255 44 40